სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №427

ქ.ქუთაისი 11 დეკემბერი 2013 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10' მუხლისა და 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანების მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“) ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის შოთა მურღულიას სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24 54 54; უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი- №01-9824 11.12.13წ).

მეორეს მხრივ ა.ა.ი.პ. „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ ქუთაისის ფილიალის მენეჯერის ნათია გუდავას სახით (მისამართი: ქ. ქუთაისი, ხარებავას ქ. №41) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ქალაქ ქუთაისის მერიის პროგრამა „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის“ ფარგლებში ქუთაისში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებასთან ინტეგრაციისათვის ღონისძიების ორგანიზების სახელმწიფო შესყიდვა.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია დანართი №1-ში.

1.3 კლასიფიკატორის კოდი –79900000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 4202 (ოთხიათასორასორი) ლარს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება თვითთმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

3.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

3.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადების

4.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა, ხელშეკრულების დადებიდან 2013 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს 2013 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 „შემსყიდველი"–ს მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

5.3 მომსახურების გაწევის დასრულების ვადათ ითვლება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის მიერ მომსახურების დასრულების (მიღება-ჩაბარების აქტი) დადასტურების დღე.

5.4 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღების დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე

6.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება;

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი;

გ) გაწეული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი სასაქონლო ზედნადები.

ნ. გუდავა

6.2. გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.
6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღე.

7.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი" ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:
–გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია
8.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:
– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
8.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
– მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
8.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:
– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 დაუძლეველი ძალის გარდა ,,მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30%-ის ოდენობით.
9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.
9.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;
9.5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ,,მიმწოდებლი"–ს დაჯარიმების შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
9.6 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
10.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ.
10.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 ადგილობრივი ,,მომწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2014 წლის 20 იანვრამდე.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან“.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

ქალაქ ქუთაისის მერია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: UGEBGE22
ა/ა № 33033303
ს/კოდი: 212721170
ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

შოთა მურღულია

მიმწოდებელი:

ა.ა.ი.პ. „პირველი ნაბიჯი საქართველო“
მის: ქ. ქუთაისი, ხარებავას ქ. №41
ს .ს ,,თიბისი ბანკი"
ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: 220101819
ს/კ 202061838
ა/ა № GE23TB7410636080100005
ა.ა.ი.პ. „პირველი ნაბიჯი საქართველოს“
ქუთაისის ფილიალის მენეჯერი

ნათია გუდავა

დანართი №1

ფასებისცხრილი

№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთოფასი
1	ქუილინგისინსტრუქტორისჰონორარი	პირი	1		200
2	ფოტოგრაფიისინსტრუქტორისჰონორარი	პირი	1		100
3	ღონისძიებისკოორდინატორისჰონორარი	პირი	1		2055.95
4	საკანცელარიონივთები				
	კარტრიჯი	ცალი	2	35 ლარი	70 ლარი
	პოსტერისქაღალდი A3	ცალი	30	4ლარი	120ლარი
	ქსეროქსისქაღალდი	შკვრა	1	33 ლარი	33 ლარი
	ფოტოქაღალდი A4 150 გრ.პრიალა	ცალი	100	3ლარი	300ლარი
	ფერადიქაღალდიქვილინგისათვის	ცალი	500	0.04 ლარი	20 ლარი
	ჩასანიშნიბლოკნოტი	ცალი	30	1 ლარი	30 ლარი
	ფლიფ-ჩარტი A1	ცალი	3	8 ლარი	24 ლარი
	ავტოკალამი	ცალი	50	0.4 ლარი	20 ლარი
	სურათისჩარჩო	ცალი	60	11 ლარი	660 ლარი
	ქაღალდისსკოჩი	ცალი	10	1.35 ლარი	13,5 ლარი
	ყურისსაცოზი	ცალი	40	1 ლარი	40 ლარი
	თვალებზეასაკრავილენტა	მ	5	3 ლარი	15 ლარი
	გუაში 6ფ, 20მლ	ცალი	4	5 ლარი	20 ლარი
	ფუნჯები	ცალი	30	1.7 ლარი	51 ლარი
	ფერადიფანქარი	შეკვრა	5	26.5 ლარი	132,5 ლარი
	შავიფანქარი	ცალი	13	0.35ლარი	4.55ლარი
5	ლანჩიფილმისჩვენებისდღეს				
	პოპკორნი	შეკვრა	5	3 ლარი	15 ლარი

	ჩიფსი	შეკვრა	3	**5** ლარი	**15** ლარი
	მინერალური წყალი 0.80 ლ	ცალი	30	**1** ლარი	**30** ლარი
	ყავა	შეკვრა	1	**15** ლარი	**15** ლარი
	ჩაი	შეკვრა	1	**4** ლარი	**4** ლარი
	შაქარი	კ·ბ	1	**1,50** ლარი	**1, 50** ლარი
	გაზიანი უალკოჰოლოს ასმელი 0.5 ლ	ცალი	30	**1** ლარი	**30** ლარი
2	ლანჩი ქვილინგისგაკვეთილებისდღეს				
	ხაჭაპური	ცალი	5	**5** ლარი	**25** ლარი
	ლობიანი	ცალი	5	**2** ლარი	**10** ლარი
	პიცა	ცალი	5	**6** ლარი	**30** ლარი
	მჭადი დაყველი	ცალი	30	**1** ლარი	**30** ლარი
	ბადრიჯანი ნიგვზით	ცალი	30	**1** ლარი	**30** ლარი
	ქათმის ხორცის სალათი	პორცია	3	**4** ლარი	**12** ლარი
	ბოსტნეულის სალათი	პორცია	3	**4** ლარი	**12** ლარი
	ყავა	შეკვრა	1	**15** ლარი	**15** ლარი
	ჩაი	შეკვრა	1	**4** ლარი	**4** ლარი
	შაქარი	კბ	1	**1, 50** ლარი	**1,50** ლარი
	გაზიანი გამაგრილებელი სასმელი 2ლ	ცალი	5	**1, 50** ლარი	**7,50** ლარი
	წყალი 5ლ-იანი	ცალი	5	**1** ლარი	**5** ლარი
	ჯამი				**4202**